

## განმარტებითი ბარათი

### „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია ნორმატიული აქტების იერარქიის, მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის საკითხების მიმართ ახლებური მიდგომებისა და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების დანერგვით. აღნიშნული მოითხოვს მოქმედი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციით მიღებას.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ნორმატიული აქტების იერარქიის, მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის საკითხების მიმართ ახლებური მიდგომებისა და გამარტივებული, ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების დანერგვა.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით მნიშვნელოვნად იცვლება ნორმატიული აქტების იერარქიის, მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის საკითხების მიმართ მიდგომები და პროცედურები, კერძოდ:

ა) კანონით დგინდება, რომ ნორმატიული აქტების მიმართ (გარდა კოლექტიური ორგანოების ნორმატიული აქტებისა), არ გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახეები. მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახეების გამოყენების შემთხვევაში, სწორად, შეუძლებელი იყო ყველა პროცედურის დაცვა, რაც არაპრაქტიკულს ხდიდა ადმინისტრაციულ წარმოებას. აქედან გამომდინარე, ახალი კანონით უქმდება აღნიშნული პროცედურები და მათი გამოყენების სავალდებულობა განისაზღვრება მხოლოდ კოლექტიური ორგანოს ნორმატიული აქტის მიმართ;

ბ) კანონის ახალ რედაქციაში აღარ არის მითითებული საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და მათი მიღების (გამოცემის) კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლების ჩამონათვალი საკანონმდებლო აქტების სახით, რადგან ცალკეული ნორმატიული აქტების მიღების (გამოცემის) სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია სპეციალური საკანონმდებლო აქტებით;

გ) კანონის ახალ რედაქციაში აღარ არის მითითებული საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დეტალური იერარქია. ახალ იერარქიულ სისტემაში მითითებულია საქართველოს საკანონმდებლო აქტების, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ურთიერთმიმართების საკითხები უპირატესი იურიდიული ძალის თვალსაზრისით. რაც შეეხება საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, მათი იურიდიული ძალის განმსაზღვრელ კრიტერიუმად დგინდება კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული აქტის გამოცემა, ანუ სამართალშეფარდებისას უპირატესობა მიენიჭება იმ

ნორმატიულ აქტს, რომელიც გამოცემულია კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების (თანამდებობის პირების) ნორმატიული აქტების იურიდიული ძალა კი განისაზღვრება აღმასრულებელ ხელისუფლებაში ამ ორგანოთა (თანამდებობის პირთა) იერარქიის შესაბამისად;

დ) ზუსტდება და ფართოვდება იმ საკითხთა წრე, რომლებიც სავალდებულოა მოწესრიგდეს საქართველოს საკანონმდებლო აქტით;

ე) კანონის მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით, ახალი რედაქციით ერთიან ნორმაში ყალიბდება ერთობლივი ნორმატიული აქტის გამოცემის წესი;

ვ) ახლებურად და უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი ნორმატიული აქტის მომზადების წესი და ნორმატიული აქტის სტრუქტურა;

ზ) გათვალისწინებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სამართლებრივი ექსპერტიზის მექანიზმის სრულყოფა; ნორმატიული აქტის სამართლებრივი ექსპერტიზის დროს, მატერიალური დოკუმენტების გარდა, შესაძლებელი ხდება, აგრეთვე, ელექტრონული დოკუმენტების გამოყენება;

თ) საფუძვლიანად იცვლება ნორმატიული აქტის გამოქვეყნებისა და რეგისტრაციის წესები და ვადები; ნორმატიული აქტების რეგისტრაცია მისი გამოქვეყნების აუცილებელ თანამდევ მოქმედებად გადაიქცევა და ამით თავიდან იქნება აცილებული ის შემთხვევები, როდესაც ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანილი ნორმატიული აქტები აღარ ქვეყნდებოდა;

ი) ნორმატიული აქტის ბეჭდვური ფორმით გამოქვეყნებას ენაცვლება მისი ელექტრონული ფორმით გამოქვეყნება ვებ-გვერდზე და ამ სახით გამოქვეყნებულ ნორმატიულ აქტს, ისევე როგორც ელექტრონული ფორმით გამოქვეყნებული ნორმატიული აქტის სისტემატიზირებულ ვერსიას, მიენიჭება ოფიციალური (იურიდიული) ძალა; მნიშვნელოვანია ისიც, რომ სავალდებულო ხდება საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ნორმატიული აქტის ერთ გამოცემაში გამოქვეყნება, რითაც რეალურად იქნება უზრუნველყოფილი აღნიშნული ნორმატიული აქტების ერთიანი ელექტრონული ბაზის ფორმირება და მათი ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული მომხმარებლისათვის.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

*ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:*  
კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

*ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):*  
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

*გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:*  
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

*გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:*  
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

*გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:*  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

*დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*  
კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

*დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*  
ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**  
კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ლაშა თორდია

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**  
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ლაშა თორდია